

სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორს ბატონ თეიმურაზ ლორთქიფანიძეს ამავე კოლეჯის ხარისხის მართვის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ნინო ძაგანიას 2017-2018 სასწავლო წლის

## ა ნ გ ა რ ი შ ი

2017-2018 წლებში განვითარების სამოქმედო გეგმით სპორტის კოლეჯში დაგეგმილი იყო შემდეგი აქტივობები:

1. აქტიური ჩართულობა პროფესიული საგანმანათლებლო და ჩარჩო დოკუმენტების საფუძველზე შექმნილი პროგრამების შემუშავება დანერგვა;
2. სასწავლო პროცესის მონიტორინგი;
3. მზადება საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღებებისთვის;
4. ავტოპრიზაციის მოთხოვნების შესაბამისად კოლეჯის სამართლებრივი დოკუმენტაციის გადამოწმება და საჭირო ცვლილებების შეტანა. კოლეჯის ხედვის, მისიის, მიზნებისა და სხვა წესების ასევე სასწავლო გეგმების, თანამდებობრივი ინსტრუქციების და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სხვა პროცედურების განხორციელება;
5. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
6. მუდმივი პროფესიული ხელშეწყობა, ტრენინგებისა და სემინარების დაგეგმვა/ჩატარება. შეფასების მიმართულებების/ ინსტრუმენტები შემუშავება და მტკიცებულებების განსაზღვრა შეგროვება;
7. მოკლევადიანი კურსების შემუშავება/დანერგვა იმ პროგრამებზე, რომლებზეც მიღება 2019წლის 1 იანვრისთვის შეზღუდულია. (საგანობრივი პროგრამები);
8. „მწვრთნელისა“ და „სამთო გამყოლის“ საგანმანათლებლო პროგრამების ჩანაცვლება მოდულური პროგრამებით და ამ მიზნით ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან კომუნიკაცია და თანამშრომლობა;
9. კოლეჯის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება თბილისსა და ქუთაისში;
10. ქუთაისში ფართის შეცვლასთან დაკავშირებული პროცედურები;
11. კომპიუტერული ცენტრისა და ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დახვეწა და განვითარება;
12. სპორტის კოლეჯის ვებ-გვერდის განახლება;
13. მეთოდური კონფერენციის მომზადება და ჩატარება;
14. მზადება გეგმიური მონიტორინგისთვის;
15. ბიბლიოთეკის წიგნადო ფონდის შევსება;
16. პარტნიორული ხელშეკრულებებისა და მემორანდუმების გაფორმება/განახლება ორგანიზაციებთან, პარქტიკის ობიექტებთან და კოლეჯებთან;
17. 2019წლის სამოქმედო და სტრატეგიულ გეგმებზე მუშაობა;
18. მზადება რეაქტორიზაციისთვის;

კოლეჯში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომელსაც ვახორციელებთ კოლეჯის ადმინისტრაციასთან, სასწავლო ნაწილის უფროსთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ერთად.

### **2017-2018 სასწავლო წელს შესრულებულია შემდეგი სამუშაოები:**

სამოქმედო გეგმის თანახმად, გაგრძელდა მუშაობა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამების დახვეწის მიზნით. თუმცა, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მონაცემებით პროგრამები, რომელსაც ამჟამად ჩვენი კოლეჯი ახორციელებს ოპტიმიზაციის შედეგად უქმდება. „ბეჭდური და ონლაინ გამოცემების რეპორტიორი“ უქმდება 2019 წლის 31 დეკემბერს და აღნიშნულ პროგრამაზე მიღებას კოლეჯი 2019 წლის შემოდგომაზე შეძლებს. რაც შეეხება „მასაჟისტ-რეაბილიტატორის“ პროგრამას ის 2019 წლის 1 იანვარს გაუქმდება და ამ პროგრამაზე მიღების საშუალება 2018 წლის საშემოდგომო მიღებაზე გვექნება.

სასწავლო პროცესის მონიტორინგის კუთხით კოლეჯში განხორციელდა ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები პერსონალს, პროგრამების განმახორციელებლებსა და პედაგოგებს შორის;

მოხდა საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, პედაგოგების მიერ შედგენილი შუალედური და დასკვნითი გამოცდისათვის საჭირო საგამოცდო საკითხების შემოწმება; ასევე, სწავლის შედეგების დადასტურების ინსტრუმენტების განხილვა/განახლება; შიდა მხარდაჭერის ჯგუფის წევრებთან ერთად სისტემატიურად ვესწრებოდი, კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებს; ვამოწმებდი სტუდენტთა დასწრებას მეცადინეობებზე; პერიოდულად ვატარებდი სტუდენტების გამოკითხვებს, როგორც ზეპირსიტყვიერს ისე ანკეტირების მეშვეობით, სადაც მათ ეძლეოდათ საშუალება დაეფიქსირებინათ საკუთარი აზრი, როგორც სასწავლო პროცესის, ასევე სასწავლო გარემოსთან მიმართებაში. სტუდენტების გამოკითხვისას ვახდენდი შედეგების რაოდენობრივ და თვისობრივ ანალიზს, მათ განხილვასა და რეკომენდაციების შემუშავებას შემდგომში ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

სპორტის კოლეჯში 2016 წლიდან დღემდე ხორციელდება გარე მხარდაჭერის ვიზიტები. მიმდინარე წელს კოლეჯში ვიზიტით იმყოფებოდა გარე მხარდაჭერის ექსპერტი ნინო ხაჩიძე. ვიზიტი ორ ეტაპად განხორციელდა. 2018 წლის გაზაფხულსა და შემოდგომაზე.

ავტორიზაციის მოთხოვნების შესაბამისად გადამწომადა კოლეჯის სამართლებრივი დოკუმენტაცია და საჭირო ცვლილებები შევიდა კოლეჯის მისიის, ხედვისა და სხვადასხვა მარეგულირებელი წესებში.

შემუშავდა ახალი სამუშაო აღწერილობები კოლეჯში გამჭვირვალე, ღია მმართველობის პრინციპების დამკვიდრების, ფუნქციების გონივრული გადანაწილებისა და გუნდური პასუხისმგებლობების უზრუნველყოფის მიზნით.

მიმდინარე წელს მთლიანად განახლდა კოლეჯის ვებ-გვერდი. ასევე გამოიყო ვებ-გვერდის განახლებასა და ინფორმაციის უწყვეტობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი.

შეივსო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი.

კომპიუტერულ კლასს დაემატა ახალი კომპიუტერები. კოლეჯმა ასევე შეისყიდა ლეპტობები ადმინისტრაციისთვის.

ჩატარდა მეთოდური კომუნფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს კოლეჯის მასწავლებლებმა და სტუდენტებმა.

2018 წლის ბოლოს კოლეჯში განხორციელდა გეგმიური მონიტორინგი. კოლეჯმა წრამატებით გაიარა მონიტორინგი. თუმცა იყო პრობლემები ქუთაისის ფართთან დაკავშირებით. ამჯამად აღნიშნული ფაქტი აღმოფხვრილია.

2017-2018 წლებში სპორტის კოლეჯში საგაზაფხულო და საშემოდგომო მიღებებზე ჩაირიცხა (სულ 3 ჩარიცხვა) – 354 სტუდენტი; 2017 წელს კოლეჯი დაამთვარ - 127; 2018 წელს კი - 141 სტუდენტმა;

### **2017-2018 სასწავლო წელს დაგეგმილი აქტივობებიდან ვერ განხორციელდა:**

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილი იყო ტრენინგებში მონაწილეობა, თუმცა სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ვერ მოხერხდა ტრენინგების განხორციელება და მასში ჩვენი პედაგოგების ჩართვა.

მოკლევადიანი კურსების შემუშავება/დანერგვა იმ პროგრამებზე, რომლებზეც მიღება 2019წლის 1 იანვრისთვის შეზღუდულია ასევე ვერ განხორციელდა.

„მწვრთნელისა“ და „სამთო გამყოლის“ საგანმანათლებლო პროგრამების ჩანაცვლება მოდულური პროგრამებით ვერ განხორციელდა შემდეგი მიზეზების გამო: სამთო გამყოლის მოდულური პროგრამა ცენტრმა შეიმუშავა, თუმცა პროგრამაზე დაშვების წინაპირობა იმდენად რთული და მიუღწევადია, რომ კოლეჯი ვერ ხედავს მოცემულობას თუ ვინ შეიძლება აღნიშნულ პროგრამაზე ჩაირიცხოს. რაც შეეხება მწვრთნელის პროგრამას, ამ შემთხვევაში მიმდინარეობს კომუნიკაცია სამინისტროს, პარალმენტის სპორტის კომიტეტსა და ხარისხის ეროვნულ ცენტრს შორის გარკვეული კონსენსუსის მისაღწევად.

